პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 165 (5195)

1974 წ. 21 აგვისტო, ოთხშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 23 აპრილიდან

## ათი საბჭოთა მოკრივე განაგრძობს ასპარეზობას

ჰავანა, 20 აგვისტო. მსოფლიოს უძლიერეს მოკრივეთა ასპარეზობისას ყოველთვის სავსეა კუბის დედაქალაქის „კოლიზეის" სპორტის სასახლე. აქ შეკრებილი 14 ათასი მაყურებელი კარგად ერკვევა სპორტის ამ სახეობის ნიუანსებში და, ჟეროვნადაც აფასებს გამარჯვებულთა ოსტატობას, მაგრამ რინგზე კუბელთა გამოჩენისას მაინც ისეთი აჟიოტაჟია, ყურთასმენა აღარ არის.

ჯერჯერობით უდანაკარგოდ გამოდიან მასპინძლები, მაგრამ სსრ კავშირის ნაკრებიც ძლიერად ასპარეზობს. ა. კლიმანოვის (პირველი საშუალო წონა) წარმატებით გამოსვლის შემდეგ გამარჯვება მოიპოვეს: ტაშკენტელმა რ. რისკიევმა (მეორე საშუალო), რომელმაც დაამარცხა კანადელი ს. ვილიამსონი, ევროპის ჩემპიონმა დონეცკელმა ვ. ზასიპკომ (მეორე უმჩატესი), რომელმაც მოუგო ნიგერიელ ნ. ოგაბუს. გაიმარჯვეს, აგრეთვე, პირველმა მსუბუქი წონის მოკრივე ვ. სოლომინმა გდრის სპორტსმენ ი. ბაქველდთან, ქვემძიმე წონის მოსკოველმა ი. კოროტაევმა — ზავაის კუნძულების წარმომადგენელ ტ.-ნ. რალესთან.

სამი დღის ასპარეზობის შემდეგ ჩემპიონობისთვის ბრძოლას განაგრძობს 10 საბჭოთა მოკრივე. ტურნირის დებიუტანტი, მეორე ქვესაშუალო წონის ჩელიაბინსკელი სპორტსმენი ა. ჟურავლიოვი ტრავმის გამო გამოეთიშა ჩემპიონატს.



ტალინში მოეწყო აშშ-ს, გფრ-ისა და სსრ კავშირის მრავალჭიდელთა მატჩი. გუნდურ ჩათვლაში საბჭოთა ნაკრებმა დაამარცხა აშშ-ს სპორტსმენებიც და გფრ-ის წარმომადგენლებიც.

ქალთა შეჯიბრებაში პირველი სამი ადგილი დაიკავეს საბჭოთა ხუთჭიდელებმა: ზ. სპასოვხოდსკაიამ, ტ. ვორონოვამ და ლ. ზელიაკოვამ.

* * *

სურათზე: ზ. სპასოვხოდსკაია. მისი შედეგი 4611 ქულა.

ტ. ტარკპეის ფოტო. (საკდეპი).

## ერთპიროვნული ლიდერი

ფილიპინების დედაქალაქ მანილაში მოჭადრაკე ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონატში შედგა მეშვიდე ტური, რომელმაც დასახელა ერთპიროვნული ლიდერი. ინგლისელმა ჯ.-დ. მაილსმა დაამარცხა შვედი ლ.-ა. შნაიდერი. ახლა მაილსს 5,5 ქულა აქვს. მაილსს ნახევარი ქულით ჩამორჩება ჰოლანდიელი რ. დიქსი, რომელმაც ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ა. კოჩიევთან. ახლა კოჩიევს, ისევე როგორც შნაიდერს, 4,5 ქულა აქვს. ამ ტურის დანარჩენ შეხვედრებში პ. მაკმა (გფრ) წააგო პ. უინსტონთან (აშშ), რ. ხენაომ (კოლუმბია) — ს. მარიანოვიჩთან (იუგოსლავია). სათამაშო დარჩა 2 ტური. VIII ტურში კოჩიევი მაილსს ხვდება.

**ჭ ა დ რ ა კ ი**

## ვიქტორ სანეევი: 16,88 მ

ორ კვირაზე ნაკლები დრო რჩება მძლეოსნობაში ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე, ამიტომ ჩვენი კონტინენტის სხვადასხვა ქვეყანაში კვლავ იმართება საინტერესო შეჯიბრებები რომის ბატალიების საგზურების მოსაპოვებლად.

მოსკოვში რამდენიმე დღეს გაგრძელდა დინამოელთა ასპარეზობა. ჩვენ უკვე ვიუწყებოდით პირველი დღის ზოგიერთ მაღალ შედეგს. შეჯიბრების დასკვნით ფაზაში თავი ისახელა მეხიკოს და მიუნხენის ოლიმპიადების გმირმა ვ. სანეევმა, რომელმაც სამხტომში მაღალი შედეგი აჩვენა — 16,88 მ, მან 25 სმ-ით აჯობა II ადგილზე გასულ ლენინგრადელ ს. სიდორენკოს.

სხვა შედეგებიდან აღსანიშნავია სტავროპოლელი მადროს მტყორცნელის ვ. პენზიკოვის შედეგი — 63,58 მ, ტ. კაზანკინას (ლენინგრადი) გამარჯვება 1500-მეტრზე რბენაში — 4.10,6.

ამ დღეებში თავი გამოიჩინეს სხვა ქვეყნების მძლეოსნებმაც. ვარშავაში ოლიმპიური ჩემპიონი ვ. კომარი კვლავ პირველი იყო ბირთვის კვრაში — 21,19 მ. პოტსდამში გამართულ შეჯიბრებაში გდრ-ის წარმომადგენელმა ა. შმალფელდმა სიგრძეზე ხტომაში 671 სმ აჩვენა, მიუნხენის ოლიმპიადის ჩემპიონმა რ. შტეჰერმა 100 მეტრის გარბენას 11,1 წამი მოანდომა.

ფინეთის დედაქალაქ ჰელსინკში გაიმართა ამ ქვეყნისა და შვეციის ნაკრები გუნდების სამატჩო შეხვედრა. როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორის იმარჯვეს მასპინძლებმა.

## მწვრთნელი იმედოვნებს

ცხინვალში პოპულარობით სარგებლობს სამბო, განსაკუთრებით — ჭაბუკებში. ამას ადგილობრივი გულშემატკივრები უმადლიან წარსულში ცნობილი ფალავნის, სპორტის ოსტატ ს. გაბარაევის ენერგიულ მუშაობას. მწვრთნელმა ჭიდაობის სექციაში ბევრი პერსპექტიული ახალგაზრდა ჩააბა, რომლებმაც უკვე გამოიჩინეს თავი საოლქო, რესპუბლიკურ და საკავშირო სარბიელზეც კი.

ამას წინათ ლვოვში ჩატარდა ჭაბუკთა საკავშირო შეჯიბრება სამბოში, სადაც თავი გამოიჩინეს ცხინვალელმა ჭაბუკებმაც — კარლო ალბოროვმა და კაკო ბაგაევმა, ისინი II საპრიზო ადგილებზე გავიდნენ: ალბოროვი 70 კგ წონითს კატეგორიაში, ხოლო ბაგაევი — მძიმე წონაში.

მწვრთნელს იმედი აქვს, რომ სულ მალე თავს გამოიჩენენ მისი სხვა აღსაზრდელებიც.

ვ. ველქოევი. (ჩვენი კორ.).

## რამდენიმე სტრიქონით

**ქობულეთი**

ჩატარდა აჭარის იუნიორთა პირველობა საგზატკეცილო ველოსპორტში. ინდივიდუალური რბოლა მოიგო ქობულეთის „კოლმეურნის" წარმომადგენელმა მ. ოგანესიანმა. 100 კილომეტრზე ჯგუფურ რბოლაში ფინიშთან პირველი მივიდა ბათუმელი გ. მქავანაძე.

მ. კირაკოსიანი, შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

## პრიზი საუკეთესო ტექნიკისთვის

ამას წინათ ვილნიუსში ჩატარდა „დინამოს" ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდური ჩემპიონატი ძიუდოში. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ მოკავშირე რესპუბლიკების, აგრეთვე, მოსკოვისა და ლენინგრადის კოლექტივები.

საქართველოს „დინამოს" ღირსებას იცავდა თბილისის კოლექტივი, რომელმაც II საპრიზო ადგილი დაიკავა.

პირად ჩათვლაში საუკეთესო შთაბეჭდილება დატოვა ქ. ტოტოშვილმა (მწვრთნელი ნ. ნინიაშვილი). მან ყველა შეხვედრა დიდი ალმავლობით ჩაატარა და ექსივე მეტოქეს მტკივნეული ილეთით მოუგო. ტოტოშვილის ყოველ გამოსვლას მაყურებლები ინტერესით ადევნებდნენ თვალს. მან მიიღო სპეციალური პრიზი საუკეთესო ტექნიკისთვის.

I ადგილი დაისაკუთრა, აგრეთვე, საერთაშორისო სპორტის ოსტატის ა. მარტყოფლიშვილის მოწაფემ ქ. ლოლაშვილმა. II ადგილზე გავიდა ნ. ბროძელი.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ შეჯიბრებისთვის გუნდი კარგად მოამზადა მწვრთნელმა ნ. ნინიაშვილმა.

ვ. ბუხნიკაშვილი.



მოსკოვის „სოკოლნიკის" სპორტის სასახლეში ჩატარდა ტანმოვარჯიშეთა საქალაქო პირველობა. ქალებში პირველი იყო ოლიმპიური ჩემპიონი ე. სააღი.

სურათზე: ე. სააღი ამთავრებს გამოსვლას.

ბ. კლინჩენკოს ფოტო, (საკდეპი).

## ცხარე დღეები

**ევროპის ჩემპიონატისა და ეროვნებათა თასის გათამაშების წინ**

არც ერთ სხვა კოლექტივს მსოფლიოში არა აქვს იმდენი ოფიციალური ტიტული, რამდენიც სსრ კავშირის კალათბურთელ ქალთა ნაკრებს. მსოფლიოს რამდენიმეგზისა და ევროპის 11-გზის ჩემპიონს ამავე დროს მოგებული აქვს ყველა საერთაშორისო ტურნირი, სადაც კი გამოსულა. სსრ კავშირის ნაკრებს ეკუთვნის ერთი უნიკალური რეკორდიც: 16 წლის მანძილზე ოფიციალურ შეხვედრებში იგი არც ერთხელ არ დამარცხებულა.

ქალთა კალათბურთი მუდამ იყო პოპულარული ევროპაში, მაგრამ ბოლო ხანებში მისი ავტორიტეტი ერთი-ორად გაიზარდა. ეს იმან განაპირობა, რომ მონრეალის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში პირველად შეიტანეს ქალთა კალათბურთიც. ამ ფაქტმა, ცხადია, საგრძნობლად გამოაცოცხლა საკალათბურთო ცხოვრება ევროპაშიც და ამერიკის კონტინენტზეც.

გუშინ სსრ კავშირის ნაკრები გაემგზავრა სარდინიას (იტალია), სადაც მონაწილეობას მიიღებს ევროპის მორიგ ჩემპიონატში, გუნდის შემადგენლობაში მოხდა უმნიშვნელო ცვლილება — უმაღლეს დონეზე პირველად იასპარეზებენ სვერდლოვსკელი ო. ბარიშევა და ალმაათელი ნ. შუვაევა. დანარჩენები გამოცდილი ოსტატები არიან: — რიგელი უ. სემიონოვა, ლენინგრადელები — თ. კალიაგინა, ა. ოვჩინიკოვა, ნ. ზახაროვა, მოსკოველები — ლ. კუზნეცოვა, თ. ოვეჩკინა, ო. სუხარნოვა, ნ. ფირიაზნიკოვა, კიეველი ნ. კლიმოვა და დნეპროპეტროვსკელი რ. კურვიაკოვა.

23 აგვისტოს დაიწყება წინასწარი მატჩები. სსრ კავშირის გუნდი ითამაშებს ქალაქ სასარიში უნგრეთის, გფრ-ისა და იუგოსლავიის გუნდებთან ერთად. ორ სხვა ჯგუფში გაერთიანდნენ შემდეგი გუნდები: ბულგარეთი, პოლონეთი, რუმინეთი, ესპანეთი და ჩეხოსლოვაკია, საფრანგეთი, ჰოლანდია, დანია. ორ-ორი უძლიერესი კოლექტივი ყოველი ჯგუფიდან შექმნის ფინალურ ჯგუფს, რომელსაც დაემატება ტურნირის მასპინძელი — იტალია, გადამწყვეტი მატჩები ჩატარდება 26 აგვისტოდან 3 სექტემბრამდე ქალაქ კალიარიში.

საკმაოდ რთული კალენდარი ექნება სსრ კავშირის ვაჟთა ნაკრებსაც. 22 აგვისტოს იგი სამხრეთ ამერიკაში გაფრინდება, რათა მონაწილეობა მიიღოს ეროვნებათა თასის გათამაშებაში. ამ ტურნირში საბჭოთა კალათბურთელებთან ერთად იასპარეზებენ აშშ-ს, იუგოსლავიისა და ბრაზილიის გუნდები.

მერე საბჭოთა ნაკრები გაემგზავრება ამერიკის შეერთებულ შტატებში და გამოვა კიდევ ერთ ტურნირში, რომელიც „ექსპო—74"-ის ნიშნით ტარდება. შეხვედრები გაიმართება ლოს-ანჯელესსა და სპოკანაში.

სსრ კავშირის ნაკრებმა წლეულს, როგორც ცნობილია, ორი დიდი ასპარეზობა მოიგო: ერთი — მსოფლიოს ჩემპიონატი, მეორე — ი. გაგარინის სახელობის ტურნირი, ეროვნებათა თასის გათამაშებაში და ამერიკულ ტურნეში მონაწილეობას არ მიიღებენ ნაკრების ვეტერანები ს. ბელოვი, პ. ტომსონი და მ. პაულაუსკასი. მათს ნაცვლად მწვრთნელმა ვ. კონდრაშინმა მიიწვია ლენინგრადელი ა. მოკეევი, კიეველი ა. შალნევი და სვერდლოვსკელი ა. მიშკინი.

# ეს საყურადღებოა!

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ფიზიკური კულტურა და სპორტი ჯანმრთელობის განმტკიცების, სიცოცხლის გახანგრძლივებისა და სიმხნევის წყაროა. ხარ ფიზკულტურელი, სპორტსმენი — ეს ნიშნავს, რომ ხარ ჯანმრთელი და ხალისიანი, გამოირჩევი ტანის ლამაზი აღნაგობით და მიხვრა-მოხვრით, გამართული და მოხდენილი სიარული იცი.

ამიტომ არის, რომ ფიზიკური აღზრდის საბჭოურ სისტემაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი თავისუფალი ვარჯიშებისა და სიარულის შესწავლას.

სასწავლებლებსა და სპორტულ სექციებში ამ საკითხს, მართალია, გარკვეული ყურადღება ეთმობა, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ბოლო წლებში მისდამი ყურადღება შენელდა. ზოგან საშწყობრო სიარული და თავისუფალი ვარჯიშები მეორეხარისხოვან საქმედ მიაჩნიათ. ბოლო წლებში იგრძნობა დიდი გატაცება სპორტული ოსტატობის დონის ამაღლებითა და ჩილწევებით. ეს, რა თქმა უნდა, ბუნებრივია, ვინაიდან სპორტი მასობრიობის ხარისხის გამომხატველია. მაგრამ იგი თვითმიზნად არ უნდა ვაქციოთ, არც ის უნდა დავივიწყოთ, რისი ცოდნაც ესოდენ აუცილებელია ყოველი ფიზკულტურელისა და სპორტსმენისთვის.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ სექციებისა თუ გუნდების უმეტესობაში არ იცავენ ფიზიკური აღზრდის ძირითადი ფორმის — გაკვეთილის სტრუქტურას. მეცადინეობები პირდაპირ მოთელვით იწყება (მოცემული სახეობის სპეციალური ვარჯიშებით). შემდეგ გადადიან ძირითად ნაწილზე. ზოგჯერ დასკვნითი ნაწილიც კი არ ტარდება: სპორტსმენები მეცადინეობის დამთავრებისთანავე პირდაპირ გასახდელისკენ მიიჩქარიან.

სწორედ ამით უნდა აიხსნას, რომ ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა გარკვეულმა ნაწილმა საშწყობრო ვარჯიშები და სიარული არ იცის. ეს თვალნათლივ ვლინდება აღლუმებსა თუ დემონსტრაციებში მათი მონაწილეობის დროს.

აღნიშნულის ერთ-ერთ მიზეზად ის უნდა ჩაითვალოს, რომ ბევრ სკოლაში, საშუალო-სპეციალურ თუ უმაღლეს სასწავლებელში, განსაკუთრებით კი სოფლად, ფიზიკური აღზრდის გაკვეთილებზე და სექციურ მეცადინეობებზე ნაკლები ყურადღება ეთმობა საშწყობრო ვარჯიშისა და სიარულის სწავლებას. ხშირად მასწავლებლებსა და მწვრთნელებს სპეციალური ფიზკულტურული განათლება არ გააჩნიათ. ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ საშწყობრო მომზადებაში ქართულ ენაზე მეთოდური და დამხმარე სახელმძღვანელო არ არსებობს.

ამ საქმეში არანაკლებ სცოდავენ სპეციალისტებიც, რომლებიც კვალიფიკაციის დაბალი დონის გამო ნაკლებად ეუფლებიან საშწყობრო ვარჯიშებს.

საინტერესოა, ამ მდგომარეობას გულგრილად რატომ უყურებენ საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის მესვეურები? ეს ხომ მათი ღვიძლი საქმეა, სკოლებში, საშუალო-სპეციალურ თუ უმაღლეს სასწავლებლებში, სპორტულ სექციებსა და გუნდებში ფიზიკური აღზრდის მასწავლებლებად და მწვრთნელებად ძირითადად ხომ მათი კურსდამთავრებულები მუშაობენ.

ამ ძალზე საყურადღებო საკითხის დროულად გადასაჭრელად ავტორიტეტული სიტყვა უნდა თქვან საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდის თეორიისა და მეთოდიკის, აგრეთვე ტანვარჯიშის კათედრებმა, ტანვარჯიშის რესპუბლიკურმა ფედერაციამ, საქართველოს განათლების სამინისტრომ, უმაღლესი და საშუალო-სპეციალური განათლების სამინისტრომ, შესაბამისმა საუწყებო ორგანიზაციებმა.

**შ. სუხიშვილი.**

## ჩვენი დიდი სამშობლოს

### მშდ კომპლექსის დევიზით

ზღვისპირეთის მხარის პროფკავშირთა სპარტაკიადის ფინალური ასპარეზობა, რომელშიც 18 გუნდის 600-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა, მშდ კომპლექსის დევიზით ჩატარდა. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია შეჯიბრებამ მშდ კომპლექსის მრავალჭიდში, რომელიც პირველად იყო შეტანილი პროგრამაში. სპორტსმენები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ რბენაში, სიგრძეზე ხტომაში, ხელყუმბარის ტყორცნასა და ცურვაში. ჩემპიონობა მოიპოვეს მშენებლებმა ა. ლუკიანოვმა, მედიცინის მუშაკებმა რ. ოლონცევამ, რ. ჩვერტკომ, მასწავლებლებმა ა. ნესტერენკომ, ს. უგრიუმოვამ, ვ. სტუდენჩიკოვამ.

ბოლო სამი წლის მანძილზე ზღვისპირეთის მხარის პროფკავშირულ ორგანიზაციაში ფიზკულტურელთა რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა და 188 ათასს მიაღწია. მათგან 150 ათასი მონაწილეობდა მშდ კომპლექსის პროგრამით გამართულ შეჯიბრებებში, ხოლო 50 ათასმა უკვე სამკერდე ნიშნებიც მოიპოვა.

**ვ. კლემენტიევი.**

ვლადივოსტოკი.

### ნაბიჯი... პოლარული წრის მიღმა

მოგზაურობისა და ტურისტული ლაშქრობების მოყვარულებში ეს დიპლომი ალბათ იმ მოწმობაზე ნაკლებ პოპულარული არ იქნება, რომელსაც ზღვათა და ოკეანეთა გამგებელი ნეპტუნი აძლევს ყველას, ვინც პირველად გადალახავს ეკვატორს და ზღვაოსანთა შორის შეუძლია თავი ჩაირიცხოს. ეს დიპლომი არანაკლებ „ეგზოტიკურია": პოლარული წრის გადალახვა ყველას როდი შეუძლია.

კოლის უძველეს მიწაზე პოლარული წრის „მარშრუტის" აღნიშვნა ჯერ კიდევ რევოლუციამდე სცადეს, მურმანსკის რკინიგზის მშენებლობის დროს. ერთ-ერთ სადგურს დღემდე ასე ჰქვია — „პოლიარნი კრუგ" — „პოლარული წრე" (შემდეგში აღმოჩნდა, რომ წრე სადგურის ჩრდილოეთით გადიოდა). 1916 წელს ნახევარკუნძულზე ზუსტად აღნიშნეს პოლარული წრე და ერთგან, სადგურ პოიაკონდის მახლობლად, ობელისკიც აღმართეს.

პოიაკონდის არსებობის შესახებ ბევრს როდი სმენია — იგი ტურისტულ ტრასებზე არ მდებარეობს, ხოლო კუნძული ველიკი, რომელიც თეთრ ზღვაში, კანდალაკშის უბეში მდებარეობს, ძალიან უყვართ ტურისტებსა და კანდალაკშის სახელმწიფო ნაკრძალის სანახავად ჩასულ სტუმრებს. ახლა ამ კუნძულზე ობელისკი დადგეს. მას თუ გასცდი, უკვე იმიერპოლარეთში ხარ.

დიპლომებში, რომლებსაც ახლა ზემოხსენებულ კუნძულებზე აძლევენ საკავშირო სათხილამურო, წყალსამოტორო და ქვეითი მარშრუტების მონაწილეებს, ნათქვამია, რომ „მათ თავის ცხოვრებაში პირველად გადალახეს პოლარული წრე". ამასთან, დიპლომებში აღნიშნულია ის სიმამაცე, რასაც ტურისტები იჩენენ „კოლის მიწის სივრცეთა ათვისების დროს".

დიპლომებთან ერთად ტურისტებს გადასცემენ მურმანსკის ტურიზმის საოლქო საბჭოს მიერ გამოშვებულ სამკერდე ნიშნებს. ერთ-ერთ ნიშანზე აღბეჭდილია დედამიწის „კენწეროზე" მიმავალი ზურგჩანთიანი კაცი. ქვეშ აღნიშნულია კოორდინატები — 66 გრადუსი, 33 მინუტი, 15 სეკუნდი. სწორედ აქ გადის საზღვარი, რომლის ჩრდილოეთითაც იწყება იმიერპოლარეთის „მკაცრი", მამაცი ადამიანებით დასახლებული მიწა.

**ვ. ზასუხინი.**

მურმანსკი.

## საკუთარ მოწყვიტხრობს

## თავისუფალი დრო ბუნების წიაღში

ეროვნული ბიბლიოთეკა



# შეხვედრა, რომელშიც წაგებული არავინ რჩება

დიდებულია კიკეთის მიდამოები: ლურჯი, კამკამა ზეცა, ტყიანი მთაგორაკები, ანკარა ხაკადულები, ყინულივით ცივი წყაროს წყალი... ბუნებას თავისი მადლიანი კალთა თითქოს სწორედ აქ დაუბერტყავს მოგზაურობის მოყვარულთა გასახარად. მაგრამ, სამწუხაროდ, საქართველოს, კერძოდ კი თბილისის ტურისტები კიკეთის არცთუ ხშირი სტუმრები არიან. ამიტომ მათი აქ გამოჩენა ყოველთვის სასიამოვნო და მისასალმებელია.

გასულ შაბათ-კვირას სწორედ კიკეთის მიდამოებში გაიშალა 70-მდე ნაირფერი კარავი. „კარვების ქალაქში" ქ. ვინიცის ნორჩ მეზღვაურთა კლუბის სასულე ორკესტრის მიერ შესრულებული მუსიკის ჰანგები გაისმოდა. სწორედ ამ მუსიკის თანხლებით საზეიმოდ გაიხსნა თბილისის „განთიადის" ტურისტთა შეკრება-შეჯიბრება.

ქ. ვინიცის 500-მდე ჩომავალი მეზღვაური კიკეთის პიონერთა ბანაკში ისვენებს. ისინი ძალიან დააინტერესა განთიადელთა შეჯიბრებამ. საზეიმო ცერემონიალის შემდეგ ვინიცელთა შორის პატარ-პატარა დაჯგუფებანი შეიქმნა. მათი ნაწილი წინდების ფაბრიკა „კრწანისის" გულშემატკივარი იყო, ნაწილი — კიროველებისა, ზოგიც — „თბილქალაქპროექტის" წარმომადგენლებისა. სხვებსაც ჰყავდათ ქომაგები, მაგრამ ყველას რა ჩამოთვლის. კიკეთში თავი მოიყარა თბილისის საწარმო-დაწესებულებათა და სამშენებლო ორგანიზაციათა 24 კოლექტივის 560 მუშამ და მოსამსახურემ. შეჯიბრებები მშდ კომპლექსის მრავალჭიდსა და ტურისტულ ესტაფეტაში მართლაც საინტერესოდ, დაძაბულად წარიმართა. პირველ დღეს მოეწყო ტურისტული ლაშქრობა. 15-კილომეტრიანი გზა, სხვებთან ერთად გაიარა 8 წლის გოგონამ ვანდა რუსომაც დედასთან ა. კოვალენკოსთან ერთად. კოვალენკო თბილმრეწვმშენის № 3 ტრესტის ინჟინერია. ძალიან უყვარს ტურიზმი, მთამსვლელობა, თავის გატაცებას ესტაფეტასავით გადასცემს პატარა ვანდას.

ოჯახური ტურისტული ჯგუფი კიდევ ბევრი იყო. ამ ჯგუფების დევიზი ასეთია: „ოჯახის თითოეული წევრი — მშდ-ს ნიშნოსანი; ყოველ შაბათ-კვირას — ლაშქრობა ბუნების წიაღში". ისინი დიდი გატაცებით აბარებენ მშდ კომპლექსის ნორმატივებს ტურისტულ ლაშქრობაში, ბირთვის კვრაში, ხელყუმბარის ტყორცნაში, ძელზე მიზიდვაში, სიგრძეზე ხტომაში... რა ვუყოთ, თუ ყველა ვერ შესწვდება ნორმატივებს, მთავარი ხომ მონდომებაა.

ყველაზე საინტერესო ტურისტული ესტაფეტა იყო. მონაწილენი სტარტზე საძილე ტომარას ზურგჩანთაში დებდნენ და გარბოდნენ. ესტაფეტის მიმღები „ცეცხლის ხაზისკენ" მირბოდა და იქ ხელყუმბარებს მიზნისკენ ტყორცნიდა, მომდევნო ეტაპებზე კი „სათაგურში" ძვრებოდა, „ჭაობიან" ადგილზე ფრთხილად გადადიოდა, შემდეგ „დაზარალებულს" ზურგზე წამოიკიდებდა და ფინიშისკენ მიიჩქაროდა. ფინიშზე მონაწილეებს კარვის გაშლა და კოცონის დანთება ელოდათ.

ტურისტულ ესტაფეტაში I ადგილი წილად ხვდათ კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის წარმომადგენლებს. მეორე იყო სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის გუნდი, მესამე ინსტრუმენტული ქარხნის ფიზკულტურელთა კოლექტივი.

საველე გაზეთის გამოშვებაში ყველას დიმიტროველებმა აჯობეს. მათვე გაიმარჯვეს ბანაკის გაფორმებაში.

კომპლექსურ ჩათვლაში უძლიერესი იყო სპორტკლუბი „გამარჯვება". II ადგილზეა „განთიადი", III — „მეიჯარი".

შეჯიბრების მონაწილეთა შორის ამაოდ ვეძებდით თბილისის საავეჯო კომბინატ „განთიადის" წარმომადგენლებს. მან, ვინც ჩვენი რესპუბლიკის ტურისტულ ცხოვრებას თვალყურს ადევნებს, იცის ამ კომბინატის ფიზკულტურელთა მიღწევები. გასულ კვირას ტურიზმის მოყვარულნი ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ალბათ წაიკითხავდნენ საავეჯო კომბინატის მიერ მოწყობილი შესანიშნავი ღონისძიების — ტურისტთა შიდასაკოლექტივო ორდღიანი შეკრება-შეჯიბრების შესახებ. სამწუხაროდ, განთიადელები ამჯერად კიკეთში არ გამოჩენილან.

მონაწილე გუნდების დიდი უმეტესობა აშკარად მოუმზადებელი იყო. ბევრმა არ იცოდა კარვის გაშლა, ცეცხლის დანთება... მაგრამ ამ შეჯიბრებაში წაგებული მაინც არავინ დარჩენილა. დიახ, 560 მუშამ და მოსამსახურემ ხალისიანად, შინაარსიანად დაისვენა, 560 კაცმა აღიდგინა მთელი კვირის მანძილზე ჩარხებთან და ნახაზებთან დახარჯული ენერგია, 560 გაჯანსაღებულმა ადამიანმა ორშაბათიდან მეტი ხალისით განაახლა მუშაობა. მაგრამ ეს მაინც ძალიან ცოტაა! ძალ-ღონე არ უნდა დავიშუროთ, რათა ტურიზმი ჩვენი მშრომელების ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდეს.

**ა. გურასაშვილი,**
(ჩვენი სპეც. კორ.).

კიკეთი.





ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: ზემოთ — „კარვების ქალაქის" ერთ-ერთი კუთხე; მარცხნივ — თბილქალაქპროექტის წარმომადგენელს თ. მაჭავარიანს გადაჰყავს „დაზარალებული" თანაგუნდელი ი. კასრაძე. მარჯვნივ — ტურისტულ ესტაფეტაში გამარჯვებული, კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის გუნდი (მარცხნიდან მარჯვნივ): ვ. ვედენიევა, ა. გოცირიძე, ვ. პავლოვი, ვ. სუხიენკო, ტ. იანვარაშვილი და ო. ვედენიევა; ქვემოთ, მარცხნივ — წინდების ფაბრიკა „კრწანისის" წარმომადგენლები „კარვების ქალაქში". მარჯვნივ — ცოტაც და სადილი მზად იქნება.

ავტორის ფოტოები.





## მსოფლიო პირველობა ხელბურთში

# ჩემპიონატი ვეტერანის თვალით

როგორც ცნობილია, წლეულს გდრ-ის ქალაქებში ჩატარდა ხელბურთელ ვაჟთა გუნდების VIII მსოფლიო ჩემპიონატი. ამ ასპარეზობას ესწრებოდა საბჭოთა ხელბურთის სპეციალისტთა ჯგუფიც, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ქართველი ვეტერანი ხელბურთელებიც, სპორტის საპატიო ოსტატები: თ. ანთაძე, ჯ. ცერცვაძე და ჯ. აბაიშვილი, საკავშირო კატეგორიის მსაჯები: ი. პარლაგაშვილი, ჯ. ძაგანია, ვ. ელგუჯაური. დღეს გთავაზობთ ჯ. აბაიშვილის წერილს, რომელშიც იგი გვიზიარებს ჩემპიონატზე მიღებულ შთაბეჭდილებებს.

საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში თავმოყრილი იყვნენ საუკეთესო ძალები: შუამარბები ლაგუტინი და კლიმოვი, მაქსიმოვი და მახორინი, კულიევი, გასი და ახალგაზრდა ხელბურთელი პლახოტინი; გარემარბები: კრავცოვი, ჩიკალაევი და უსატი; ხაზის მოთამაშენი: პანოვი, რეზანოვი, ოგანეზოვი; მეკარეები: გამოცდილი იშჩენკო და მარად № 2 სიჩოვი, სათადარიგო კოჩერგინი.

ნაკრებს თავკაცობდა რსფსრ-ს დამსახურებული მწვრთნელი ა. ევტუშენკო.

ხელბურთელ ვაჟთა VIII მსოფლიო ჩემპიონატი იწყებოდა.

ზუსტად ათი წლის წინათ საბჭოთა ხელბურთელებმა პირველად მიიღეს მონაწილეობა V მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში (ჩეხოსლოვაკია) და „შავმა ცხენმა", როგორც ჟურნალისტებმა მონათლეს იგი, მეხუთე ადგილი დაიკავა. სამი წლის შემდეგ გუნდმა კიდევ ერთი ადგილით ზევით გადაინაცვლა, უძლიერესთა კვარტეტში მოხვედრა საბჭოთა ნაკრების (მწვრთნელი გ. შარაშიძე) დიდი და ერთადერთი მიღწევა იყო. თბილისელთაგან შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ა. ექსეულიძე, ჯ. ცერცვაძე, ი. ფხაკაძე და ამ სტრიქონების ავტორი. შემდეგ კი დაიწყო გუნდის გაუგებარი ჩამორჩენა: 1970 წელს საფრანგეთში IX ადგილი, 1972 წელს ოლიმპიურ თამაშებში — V ადგილი.

რა მოხდება ახლა, ბერლინის სარბიელზე? განვლილმა მსოფლიო ჩემპიონატებმა საბჭოთა ხელბურთიდან ამოატივტივა მსოფლიო „ვარსკვლავი": ლებედევი და ცერცვაძე, სალომკო და მაქსიმოვი; ნუთუ წლევანდელ ჩემპიონატს არ ძალუძს ამ სიის გაგრძელება?

ჩემპიონატის სტარტზე 16 კოლექტივმა 4 ქვეჯგუფში თანაბარი ძალებით იწყო სვლა ოქროს მედლებისკენ მიმავალ „აღმართზე". თუ ფავორიტებისთვის — რუმინელებისთვის, იუგოსლავიელებისთვის, ჩეხოსლოვაკიელებისთვის, საბჭოთა კავშირის და გდრ-ის წარმომადგენლებისთვის ეს „აღმართი" იოლი დასაძლევია, დანარჩენ გუნდებს დიდი ჯაფა მართებდათ.

ჩემპიონატის ორგანიზატორებს დიდი მუშაობა გაუწევიათ. თითოეული წუთი გაანგარიშებულია ნამდვილი „გერმანული სიზუსტით". გდრ-ის თითქმის ყოველი ქალაქი სუნთქავდა ხელბურთით, რომელიც აქ დიდად პოპულარულია. 9-10 წლის ბავშვების მონაწილეობით, ჩემპიონატის ყოველი მატჩის წინ, შეჯიბრების ყველა წესის დაცვით იმართებოდა შეჯიბრებები მინი-ხელბურთში. ბავშვების ტექნიკური მომზადება დიდებსაც კი შეშურდებოდათ. აი თურმე სად იღებს სათავეს მასობრიობა, აი თურმე, საიდან იწყება პაულ ტიდემანის და კლაუს ლანგჰოფის — მსოფლიო ხელბურთის დიდოსტატების, გდრ-ის ხელბურთის გულშემატკივართა კერპების ოსტატობა.

ბერლინის ზეელენბინდერის სახელობის ჩინებულ სპორტის სასახლეში ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტის პ. ჰიუბერგის მისასალმებელი სიტყვის შემდეგ მსოფლიო ჩემპიონატი დაიწყო.

თუ სამ ქვეჯგუფში პირველი მატჩების შემდეგ ადვილად გაიკაფეს გზა ფინალისკენ მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა, რუმინეთის გუნდმა და ახალგაზრდულმა პერსპექტიულმა კოლექტივმა — პოლონეთის ნაკრებმა, ოლიმპიურმა ჩემპიონმა იუგოსლავიამ და გდრ-ის ნაკრებმა, სსრ კავშირის და უნგრეთის კოლექტივებმა, ამას ვერ ვიტყვით პირველ ქვეჯგუფზე, სადაც ჩეხოსლოვაკიელებსა და დანიელებს დიდი შრომა დასჭირდათ, რათა დაეძლიათ გფრ-ისა და ისლანდიელების წინააღმდეგობა ფინალში გასასვლელად. მედლებისთვის ბრძოლას რომ ჩამოშორდნენ, დასავლეთგერმანელი ხელბურთელები, თბილისელთათვის კარგად ცნობილი ი. შმიდტის მეთაურობით და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონები შვედები — ეს შეიძლება VIII მსოფლიო ჩემპიონატის სენსაციად ჩაითვალოს. თუმცა კანონზომიერია, ვინაიდან ხელბურთი წინ მიიწევს. ერთ ადგილს აღარავინ ტკეპნის! ძალზე სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა „ამომავალი მზის ქვეყნის" — იაპონიის ნაკრებმა. მახსოვს, ჯერ კიდევ 1964 წელს პრაღაში იაპონელები პირველად მონაწილეობდნენ მსოფლიო ჩემპიონატში. თითოეული მათგანი შეიარაღებული იყო ფოტო და კინოაპარატებით, იღებდნენ და იღებდნენ ხელბურთელთა ყოველ მოძრაობას, მთელ მატჩებს, მეკარის თამაშს. არჩევდნენ, სწავლობდნენ და აი, ძველი ნაცნობი „აზიური" ხელბურთის მაგიერ დღეს ვიხილეთ... ევროპული ხელბურთი. ამავე დროს მათ „სიმაღლეშიც მოუმატიათ", ისევე როგორც საერთოდ ხელბურთს, მაგრამ ჯერ კიდევ არ ჰყავთ კარის კარგი მცველები.

იაპონელთა „პროტოტიპებად" შეიძლება ჩაითვალონ აშშ-ს ხელბურთელები. 1964 წელს ისინიც იღებდნენ, სწავლობდნენ, მაგრამ დღეს მათს თამაშს ცვლილებები მაინც არ ეტყობა. თუმცა, რა თამაში! ეს იყო ფიზკულტურელთა მთელი არმია და არა მსოფლიო ჩემპიონატზე ჩამოსული კოლექტივი. სპორტული ფორმის გარდა არაფერი გააჩნდათ კარგი. მათი მონაწილეობა ჩემპიონატში, დებულების თანახმად, აუცილებელი იყო (ამერიკის კონტინენტიდან უნდა გამოსულიყო აშშ ან კანადა). ორიოდე დღის შემდეგ მათ დამარცხებულებმა, ისევე როგორც ალჟირელებმა და ისლანდიელებმა, გეზი უკან, შინისკენ აიღეს.

ქვეჯგუფებში უკანასკნელი მატჩები ტარდება. თუ რუმინელთათვის შვედებთან შეხვედრას არავითარი პრაქტიკული ღირებულება არ ჰქონდა, წააგეს კიდეც ეს მატჩი და ძალები გადამწყვეტი შეხვედრისთვის შემოინახეს, საბჭოთა გუნდის შეხვედრას მასპინძლებთან უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. გარდა ამისა, აშკარად სუსტ გუნდებთან ასე უფერულად ჩატარებული მატჩების შემდეგ თავისებური მობილიზება იყო საჭირო.

მაგრამ არც გდრ-ის გუნდი წარმოადგენდა ისეთ ძალას, რომელსაც რაღაც სასწაულის მოხდენა შეეძლო. პირდაპირ ვიტყვი, რომ ჩვენები წაგებას თვით მეტოქეებმა გადაარჩინეს. მატჩის დამთავრებამდე 9 წუთით ადრე, როცა ანგარიში იყო 14:12 გერმანელთა სასარგებლოდ, ჩვენების კარში 7-მეტრიანი საჯარიმო დაინიშნა. მწვრთნელმა ევტუშენკომ ფსიქოლოგიურად იმოქმედა მტყორცნელზე — კეხლერტზე: მშვენივრად მოთამაშე მეკარე იშჩენკოს ნაცვლად მოედანზე სიჩოვი გამოიყვანა და ბურთი მოიგერია... ძელმა. ამ უშედეგო ტყორცნამ სხვადასხვაგვარად იმოქმედა გუნდებზე: ერთი გამოაფხიზლა, მეორე მოადუნა. და აი, ბოლო წამებზე ოგანეზოვმა გაათანაბრა ანგარიში — 15:15!

ტურისტ სპეციალისტთა ჯგუფის არც ერთი წარმომადგენელი კმაყოფილი არ იყო საბჭოთა გუნდის თამაშით. ტრიბუნებიდან ნათლად ჩანდა, რომ ძირითადი დამრტყმელი ძალა — შუამარბები — უმოძრაოდ იყო. კლიმოვი პასიურია, მაქსიმოვს ტყორცნა არ გამოსდის, კულიოვი „გამწყრალია" მოწინააღმდეგის კარზე. ერთი ლაგუტინი თითქოს ცდილობს ბურთის გადაცემის დაჩქარებას, მაგრამ ამაოდ. საჭიროა მახორინის შუამარბის ადგილზე გამოყვანა. ამავე დროს, ათამაშდება მახორინ — ოგანეზოვის წყვილი. საჭიროა ძალზე მოძრავი გასის შვიდეულში შეყვანა, მაგრამ ყველაფერი ეს „ოცნებად" რჩება. შეიძლება ეს მწვრთნელის სიურპრიზი იყოს, მაგრამ როდის, ვისთან?

პროგრამა-მინიმუმი მაინც შესრულებულია: ჩემპიონატის 8 საუკეთესო გუნდში მოვხვდით.

ნახევარფინალების დღეს მივემგზავრებით მაგდებურგში, სადაც ძალზე საინტერესო მატჩია: იუგოსლავია — საბჭოთა კავშირი, დარბაზში ნემსი არ ჩავარდება. მართალია, ოლიმპიურმა ჩემპიონებმა მოიგეს ეს პრინციპული მატჩი ანგარიშით 18:15, მაგრამ შესაძლებელი იყო ჩარხი საბჭოთა გუნდის მხარეს დატრიალებულიყო, რომელიმე მოთამაშეს სხვებისთვის ძალა რომ შთაებერა და გამარჯვებისკენ წაეყვანა. წინა წლებში კი ასეთი მოთამაშენი გვყავდა, თუნდაც ი. ლებედევის სახით.

ამ წაგებით დავშორდით საპრიზო ადგილებს, საითკენაც იუგოსლავიელებთან ერთად გზა გაიკაფეს რუმინელებმა, გერმანელებმა და ჩემპიონატის გმირებმა — პოლონელებმა. ჩვენ დაგვრჩა ერთადერთი იმედი: უნგრელებთან წარმატების შემთხვევაში V ადგილი და ეს ადგილი მოიპოვეს კიდეც ერთი დღის შემდეგ ძალზე დაძაბულ ბრძოლაში ანგარიშით 17:15. მოედანზე თითქმის ერთნაირი სიძლიერის ორი გუნდი იყო. მაგრამ საბჭოთა გუნდის ლიდერი ვ. მაქსიმოვი ცოტა უფრო აქტიური გახლდათ, რაც თვით მოწინააღმდეგის „ბრალიც" იყო. მათ დაცვაში გამოიყენეს სისტემა 5+1 (პერსონალურად) და აქ კი თავმოყვარეობის საკითხი დადგა წინა პლანზე. თავიდან ჩვენი გუნდი დაწინაურდა და მატჩიც მოგებით დაგვირგვინა. მაქსიმოვის ნადავლი 6 გოლს შეადგენდა.

ფინალების დღეს გერმანული ხელბურთის ყველა გულშემატკივარი მხოლოდ ერთი ფიქრით ცხოვრობდა. ყველა ოქროს მედალს მოელოდა საყვარელი გუნდისგან: ამ მიზნის მიღწევა შეიძლებოდა. აქ საჭირო იყო რუმინელების, ხელბურთის ამ ჯადოქრების, წინააღმდეგობის დაძლევა, რომელთა მიზანსაც მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონობა წარმოადგენდა. პოლონელები — გუშინდელი მოწაფეები კი ბრინჯაოს ჯილდოებზე ფიქრობდნენ. იუგოსლავიელებმა კი მატჩი წააგეს მასპინძლებთან (17:19).

პოლონეთი — იუგოსლავია — 16:18 (9:10) — მატჩი III ადგილისთვის.

პოლონელთათვის ამ მატჩში მონაწილეობაც უკვე დიდი წარმატება იყო. მსოფლიოს ხელბურთელთა ელიტის პირველ ოთხეულში „მოხვედრა" მხოლოდ დიდი მონდომების მქონე ტექნიკურად და ტაქტიკურად კარგად მომზადებულ გუნდს შეუძლია. ამავე დროს, თითოეული მოთამაშე გამსჭვალული იყო გამარჯვების დიდი წყურვილით, მოედნის ყოველ მონაკვეთზე ყოველი ბურთისთვის უდიდესი მონდომებით იბრძოდა, განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ მეკარე სუპჩიკი — ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე და ბომბარდირი დუბოლი (5 გოლი).

მაგრამ იუგოსლავიელთა მაღალტექნიკური გუნდის წინააღმდეგ მათაც კი ვერაფერი გააწყვეს. გამოცდილებამ თავისი გაიტანა. ოლიმპიურმა ჩემპიონებმა ტალღისებური შეტევებით მატჩი გამარჯვებამდე მიიყვანეს.

იუგოსლავიის გუნდმა ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი კოლექტივია, არადა, რა საინტერესო სანახავი იქნებოდა ფინალი — რუმინეთი — იუგოსლავია, ცოტა უკეთეს ფორმაში რომ ყოფილიყვნენ ოლიმპიური ჩემპიონები!

სსრ კავშირი — ჩეხოსლოვაკია — 26:24 (14:11). მატჩი V ადგილისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ ჩეხოსლოვაკიის ნაკრები გუნდი მიუნჰენის ოლიმპიადის მეორე პრიზიორია და ვერცხლის მედლებისკენ სწორედ მათ „გადაუღობეს" გზა საბჭოთა ნაკრებს ამ ორიოდე წლის წინათ, დღევანდელი გუნდი თამაშის კლასით ჩამოუვარდება ჩვენებს. თვით ანგარიშიც — 26:24 (ჩემპიონატში 45 წამის წესი არ მოქმედებდა) ორივე გუნდის დაცვის სისუსტეზე მიგვითითებს, მეკარეებზე რომ არაფერი ვთქვათ.

საბჭოთა მწვრთნელმა გადაახალისა გუნდის უკანა ხაზი. შემადგენლობაში გასის დაყენებამ გუნდი აამოძრავა, თითქოს გამოაღვიძა „სალათას ძილისგან". საბჭოთა ნაკრები პირველი წუთებიდანვე დაწინაურდა და მატჩის ბოლომდე ინიციატივა ხელიდან არ გაუშვია. 50-ე წუთზე ანგარიშში სხვაობა 7 ბურთამდეც კი ავიდა (24:17), მაგრამ შემდგომში გუნდს დაღლა დაეტყო. გახშირდა შეცდომები გადაცემებში, ტყორცნაში და საბოლოოდ ტრადიციული V ადგილი „შევინარჩუნეთ".

კარგია ეს თუ ცუდი? ვიტყვი, რომ სწორედ ეს ადგილი შეეფარდება გუნდის თამაშს. მართალია VII ჩემპიონატთან შედარებით ოთხი ნაპიჯი გადავდგით წინ, მაგრამ თამაში? ტაქტიკური მომზადება ხომ იგივე დარჩა? აი ეს კითხვები აღელვებდა საბჭოთა ხელბურთის სპეციალისტებს.

დარჩა ერთი ძალიან საინტერესო მატჩი, რომელსაც უნდა ეშვა ახალი მსოფლიო ჩემპიონი: რუმინეთი ან გდრ.

რუმინელთა თამაში ჩვენ არ გვენახა. მათს შესახებ ვკითხულობდით პრესაში, ვიცოდით, რომ გუნდის ოსტატობაში დიდი ცვლილებები არ მომხდარა ჯერ კიდევ, ჩვენი დროიდან. ვიცოდით, რომ გუნდი თამაშობდა თავისი ტრადიციული სტილით, მაღალი ტემპით ერთი რომელიმე თავდამსხმელისთვის, რომ დაცვაში იგი ისევ უწინდებურად აქტიური და ყურადღებიანია, ცოტა უხეშიც. ვიცოდით, რომ გუნდში იცვლებოდნენ შემსრულებელნი — სოლისტები და შესაბამისად იცვლებოდა რუმინეთის გუნდის სახელწოდებაც:

1954—1964 წლები — მოზერის გუნდი, 1964—1970 წლები — გრუიას გუნდი, 1970—197... წლები — ბირტალანის გუნდი.

ყველა სპეციალისტი თუ გულშემატკივარი რუმინეთის გუნდს ჩემპიონობის პირველ და ღირსეულ კანდიდატად თვლიდა. მაგრამ გდრ-ის გუნდი? მას ხომ საკუთარი კედლები ეხმარებოდნენ, გუნდი ხომ აღმავლობას განიცდიდა ოლიმპიურ ჩემპიონებთან გამარჯვების შემდეგ.

დაიწყო თამაში და ყველასთვის ნათელი შეიქნა, რომ გაიმარჯვებდა გუნდი, რომლის წევრებიც ფსიქოლოგიურად კარგად იყვნენ მომზადებული. ამ მხრივ კი რუმინელებმა გადააჭარბეს ყველას და ყველაფერს. მასპინძლებს ვერც 4000-იანმა აუდიტორიამ უშველა და ვერც მეკარე კლაუს ვეიბის თამაშმა. ბრწყინვალედ მოთამაშე მეკარე პენუმ და ბირტალანმა გერმანელთა ყოველგვარი გეგმები ჩაფუშეს. მიუხედავად იმისა, რომ ტაიმი მასპინძლებმა მოიგეს ანგარიშით 8:7.

მატჩის მეორე ნახევარი — ეს იყო რუმინელთა მეკარის კორნელიუს პენუს „სოლო-კონცერტი". მისი შემხედვარე თავდამსხმელებისთვის სირცხვილიც იყო, რომ არ ეთამაშათ. გერმანელთა წინა ხაზის მოთამაშე ლაკენმახერი პირდაპირ გაამწარა პენუმ. მის მიერ ყველა ნატყორცნი ბურთი აიღო გადამწყვეტ მომენტებში. ბოლოს თავდამსხმელმა ხელი ჩაიქნია და პენუს დამსახურებული გამარჯვება მიულოცა.

თამაშის 41-ე წუთზე ბირტალანმა მორიგი გოლი გაიტანა და რუმინელთა „ლოკომოტივი" ნელ-ნელა მიუახლოვა „ოქროს სადგურს".

რაც უფრო ახლოვდებოდა მატჩის დასასრული, მით უფრო მეტი აჟიოტაჟი სუფევდა არა მარტო ტრიბუნებზე, არამედ სამსაჯო მაგიდასთანაც. ამ აჟიოტაჟში მდივნებმა და მოედნის მსაჯებმა (უნდა ვთქვა, რომ დანიელი მსაჯები იუდალი — როდილი მართლაც საუკეთესონი იყვნენ) ისიც კი ვერ შეამჩნიეს, რომ 55-ე წუთზე მოედანზე 8 რუმინელი იყო. მხოლოდ სათადარიგო სკამზე ატეხილმა უცნაურმა ფუსფუსმა გამოაფხიზლა მსაჯები.

59-ე წუთზე, როცა ანგარიში იყო 14:12 რუმინელთა სასარგებლოდ, მათ ერთი წუთის განმავლობაში „დაიჭირეს" ბურთი: ხოლო საფინალო სასტვენის შემდეგ იგი ვისი ნადავლი გახდა, ღმერთმა უწყის. რუმინელთა სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ხუმრობა ხომ არ არის მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონობა. ასეთი რამ იშვიათად თუ ხდება სპორტში. ჰაერში „დაფრინავდნენ" არა მარტო რუმინეთის ეროვნული დროშები, არამედ მეკარე პენუც და რუმინელთა „ფეოლაც" — ნიკოლაუ ნედეფი.

დარბაზი ფეხზე ამდგარი მიესალმებოდა მსოფლიოს უძლიერეს გუნდს! თუ დავუმატებთ იმასაც, რომ ბირტალანი ჩემპიონატის ბომბარდირი გახდა 43 გატანილი გოლით, ხოლო პენუ კი საუკეთესო მეკარე — რუმინელთა გამარჯვება ნამდვილად კანონზომიერი იყო.

რუმინელთა კაპიტანმა კრისტიან კატუმ ჩაიბარა იჰფ-ს პრეზიდენტისგან უზარმაზარი თასი და ოქროს მედლები.

მათ კიდევ სამი წლით შეინარჩუნეს ეს მაღალი წოდება!

დაველოდოთ 1977 წელს!

ჯემალ აბაიშვილი,
სპორტის საპატიო ოსტატი.

---

# აი, ვინ გვასახელა!



ამ სურათზე ჩვენი „კლასიკოსი" მოჭიდავე ზ. უუბუშიძე (70 კგ) აღბეჭდილი. მან ვერცხლის მედალი მოიპოვა.

• •



სურათზე აღბეჭდილი არიან მოსწავლეთა XIII საკავშირო სპარტაკიადის ის პრიზიორი ტანმოვარჯიშეები, რომლებმაც ოსტატობის კანდიდატთა შორის რგოლებზე საპრიზო ადგილები მოიპოვეს. საქართველოს წარმომადგენლებთან ვ. კევლიშვილთან (მარცხნიდან პირველი) და ზ. პაპუაშვილთან (...) ერთად საპატიო კვარცხლბეკზე ლენინგრადელი ა. დიტიატინი იდგა.

კევლიშვილი თავისუფალ ვარჯიშში მეორე იყო, ხოლო მრავალჭიდში — მესამე.

• •



ეს ჭაბუკი თბილისის 156-ე საშუალო სკოლის კურსდამთავრებული დ. წოწკოლაურია. მან ალმა-ათაში ვერცხლის მედალი მოიპოვა უროს ტყორცნაში. მისი შედეგი — 60,74 მ — საქართველოს ჭაბუკთა ახალი რეკორდია.

ა. გურასაშვილის ფოტოები.



• •

 სსრ კავშირის პირველობა

## ფავორიტების ხელწერა

მოსკოვი, 19 აგვისტო. აქ გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მატჩი ადგილობრივ „დინამოსა" და ტაშკენტის „ფახთაქორს" შორის.

დინამოელმა ფეხბურთელებმა საუკეთესოდ ითამაშეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 4:0. „ჰეტ-ტრიკი" შეასრულა ბაიდაჩნიმ, რომელმაც 3 გოლი გაიტანა (ერთი — პენალტით).

## I ლიგა

19 აგვისტოს შედგა I ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო გათამაშების მორიგი ტურის შეხვედრები: „ნეფთჩი" (ბაქო) — „პამირი" (დუშანბე) 1:1, „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) — „მეტალურგი" (ლიპეცკი) 1:0, ასკ (დონის როსტოვი) — „სპარტაკი" (ივანო-ფრანკოვსკი) 3:1, „კუბანი" (კრასნოდარი) — „ტავრია" (სიმფეროპოლი) 1:2, „შინიკი" (იაროსლავლი) — „კუზბასი" (კემეროვო) 2:2, „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო) — „ურალმაში" (სვერდლოვსკი) 0:2, „დინამო" (მინსკი) — „ზვეზდა" (პერმი) 2:1, „ლოკომოტივი" (მოსკოვი) — „კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი) 3:1.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 21 აგვისტოსთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ლოკომოტივი" (მოსკოვი) | 24 | 13 | 5 | 6 | 45—22 | 31 |
| ასკ (დონის როსტოვი) | 25 | 12 | 7 | 6 | 38—25 | 31 |
| „ნეფთჩი" (ბაქო) | 25 | 12 | 7 | 6 | 32—19 | 31 |
| „კუზბასი" (კემეროვო) | 24 | 13 | 4 | 7 | 32—27 | 30 |
| „ტავრია" (სიმფეროპოლი) | 24 | 12 | 4 | 8 | 43—29 | 28 |
| „კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი) | 25 | 11 | 6 | 8 | 36—28 | 28 |
| „დინამო" (მინსკი) | 24 | 11 | 6 | 7 | 34—27 | 28 |
| „შინიკი" (იაროსლავლი) | 23 | 8 | 9 | 6 | 29—26 | 25 |
| „ტორპედო" (ქუთაისი) | 24 | 9 | 7 | 8 | 21—23 | 25 |
| „ურალმაში" (სვერდლოვსკი) | 25 | 9 | 7 | 9 | 27—30 | 25 |
| „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) | 25 | 10 | 4 | 11 | 29—39 | 24 |
| „სპარტაკი" (ნალჩიკი) | 24 | 7 | 9 | 8 | 22—25 | 23 |
| „ზვეზდა" (პერმი) | 25 | 8 | 7 | 10 | 31—40 | 23 |
| „სპარტაკი" (ივანო-ფრანკოვსკი) | 25 | 5 | 12 | 8 | 25—28 | 22 |
| „სტროიტელი" (აშხაბადი) | 24 | 7 | 7 | 10 | 25—32 | 21 |
| „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) | 22 | 7 | 6 | 9 | 23—28 | 20 |
| „პამირი" (დუშანბე) | 22 | 5 | 9 | 8 | 23—25 | 19 |
| „მეტალურგი" (ლიპეცკი) | 24 | 6 | 7 | 11 | 20—27 | 19 |
| „კუბანი" (კრასნოდარი) | 25 | 6 | 7 | 12 | 34—47 | 19 |
| „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო) | 23 | 2 | 6 | 15 | 18—40 | 10 |

## II ლიგა III ზონა

მოგვყავს II ლიგის III ზონაში 16 აგვისტოს ჩატარებული მატჩების შედეგები: „ლოკომოტივი" (სამტრედია) — „დილა" (გორი) 0:1, „მერცხალი" (მახარაძე) — „დინამო" (ბათუმი) 0:2, „ტორპედო" (ვლადიმირი) — „ლორი" (კიროვაკანი) 4:1, „ხიმიკი" (ძერჟინსკი) — „დინამო" (კიროვაბადი) 2:1, „ხიმიკი" (ნოვომოსკოვსკი) — „ფოლადი" (სუმგაითი) 2:0, „დინამო" (ვოლოგდა) — „შირაკი" (ლენინაკანი) 1:1, „დინამო" (ბრიანსკი) — „დინამო" (ზუგდიდი) 2:0, „ურალანი" (ელისტა) — „კოლხეთი" (ფოთი) 2:1, „დინამო" (სტავროპოლი) — „გურია" (ლანჩხუთი) 6:0.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 21 აგვისტოსთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (ბათუმი) | 25 | 13 | 9 | 3 | 35—12 | 35 |
| „ტორპედო" (ვლადიმირი) | 25 | 13 | 8 | 4 | 37—17 | 34 |
| „ისკრა" (სმოლენსკი) | 25 | 14 | 5 | 6 | 40—20 | 33 |
| „დილა" (გორი) | 25 | 14 | 4 | 7 | 50—28 | 32 |
| „დინამო" (ვოლოგდა) | 25 | 12 | 7 | 6 | 36—24 | 31 |
| „ურალანი" (ელისტა) | 25 | 12 | 6 | 7 | 27—23 | 30 |
| „ლოკომოტივი" (სამტრედია) | 25 | 11 | 8 | 6 | 30—28 | 30 |
| „ხიმიკი" (ძერჟინსკი) | 25 | 11 | 7 | 7 | 32—23 | 29 |
| „გურია" (ლანჩხუთი) | 25 | 6 | 13 | 6 | 33—32 | 25 |
| „მერცხალი" (მახარაძე) | 25 | 8 | 9 | 8 | 32—31 | 25 |
| „კალიტვა" (ბელაია კალიტვა) | 25 | 10 | 4 | 11 | 29—26 | 24 |
| „დინამო" (სტავროპოლი) | 25 | 8 | 7 | 10 | 32—27 | 23 |
| „დინამო" (ბრიანსკი) | 25 | 9 | 5 | 11 | 29—32 | 23 |
| „დინამო" (კიროვაბადი) | 24 | 9 | 4 | 11 | 32—29 | 22 |
| „დინამო" (ზუგდიდი) | 25 | 8 | 4 | 13 | 28—44 | 20 |
| „შირაკი" (ლენინაკანი) | 24 | 7 | 5 | 12 | 26—39 | 19 |
| „ხიმიკი" (ნოვომოსკოვსკი) | 25 | 8 | 3 | 14 | 20—34 | 19 |
| „კოლხეთი" (ფოთი) | 25 | 6 | 6 | 13 | 17—31 | 18 |
| „ლორი" (კიროვაკანი) | 24 | 3 | 7 | 14 | 14—45 | 13 |
| „ფოლადი" (სუმგაითი) | 24 | 5 | 1 | 18 | 15—49 | 11 |

# ყიდულობენ, ყიდიან...

ყოველი მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ, როგორც წესი, საფეხბურთო მინდვრებზე დროებითი სიწყნარე სუფევს ხოლმე. უმრავლეს ქვეყნებში ეროვნული ჩემპიონატები გაზაფხულ-შემოდგომის პრინციპით ტარდება, ამიტომ ზაფხულობით ფეხბურთელებს ან შვებულება, ან საგასტროლო მოგზაურობები და საერთაშორისო ბლიც-ტურნირები აქვთ.

ერთი სიტყვით, დიდი განცდებისა და ვნებათაღელვის შემდეგ საფეხბურთო სამყაროში ანტრაქტია, მაგრამ ეს შესვენება სათამაშო მინდვრებზეა მხოლოდ, კულისებს მიღმა კი, კლუბების დირექციებში და ფედერაციებში, საქმოსანთა კაბინეტებში სწორედ ახლაა გაცხარებული მუშაობა, დაშიფრული დეპეშების გზავნა, საგანგებო რწმუნებებით აღჭურვილ პირთა კონფიდენციალური მგზავრობანი, ტელეფონის გაბმული ზარი. ამჟამად ფეხბურთის ბაზრობაზე დიდი მორიგებებია, დებენ და არღვევენ კონტრაქტებს, ყიდიან, ყიდულობენ, იბვევბენ... საქმე — საქმეა. საფეხბურთო ინდუსტრიის ბორბალი სრული სიმძლავრით მუშაობს.

რამდენიმე დიდმნიშვნელოვანი გარიგება თვით მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში მოხდა, რომელთა შესახებაც უკვე გამოქვეყნდა ცნობები, ახლა — ახალი ამბებია,

შორეული სიდნეიდან მოვიდა ცნობა, რომ ავსტრალიის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი ალსტენი, რომელმაც გფრ-ში გამოიჩინა თავი, იყიდეს ინგლისელებმა. იგი „ლაუტანში" ითამაშებს. ცნობილმა არგენტინელმა მცველმა ვოლფმა კონტრაქტს მოაწერა ხელი ესპანეთის კლუბ „ლა-პა ლ მ ა ს-თან".

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრების მწვრთნელის ჰ. შიონის შემცვლელად ოფიციალურ წრეებში მიაჩნდათ დ. კრამერი, მან კი მოულოდნელად ოკეანეს გაღმა გამგზავრება ამჯობინა და ამერიკის შეერთებული შტატების ფეხბურთის ასოციაციას შეუთანხმდა სათავეში ჩაუდგეს ამ ქვეყნის ეროვნულ ნაკრებს. კონტრაქტი 4 წლითაა დადებული.

იქით, აშშ-ში გადაბარგდნენ ინგლისური ფეხბურთის გამოჩენილი „ვარსკვლავები" ბობი მური, ალან ბოლი, მარტინ პიტერსი, დენის ლოუ, ჯეფრი ჰერსტი და სხვანი. მათ სურთ შექმნან პროფესიული ცირკი, როგორც ეს ჩოგბურთელებს, კალათბურთელებს, მძლეოსნებს, მოცურავეებს აქვთ და იმოგზაურონ საგასტროლო პროგრამით. რა გამოვა ამ საქმიდან, ძნელი სათქმელია.

უამრავი მოწვევა აქვთ გერმანელ ფეხბურთელებს ბეკენბაუერს, მაიერს, ფოგტს და სხვებს, მაგრამ გარკვეული ჯერ არაფერია. ჩემპიონები არ ჩქარობენ.

იყო ლაპარაკი იმის თაობაზე, რომ ცნობილი რუმინელი სპეციალისტი ს. კოვაჩი, რომელიც ადრე ჰოლანდიის „აიაქსს" წვრთნიდა, მერე კი საფრანგეთის ეროვნულ ნაკრებს ჩაუდგა სათავეში, სურთ დააბრუნონ სამშობლოში და ჩააბარონ ამ ქვეყნის ნაკრები, მაგრამ რუმინეთის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობამ ოფიციალურად უარყო ეს ხმები და განაცხადა, რომ უახლოესი ერთი წლის მანძილზე არ აპირებს ამ ნაბიჯის გადადგმას.



# ისრები მიზანში ხვდებიან

ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ანგისის სასროლეთზე დამთავრდა სსრ კავშირის პირად-გუნდური პირველობა მშვილდოსნობაში სოფლის სპორტსმენთა შორის. ასპარეზობდნენ რსფსრ-ს, უკრაინის, ესტონეთის, ბელორუსიის, ლიტვისა და საქართველოს კოლექტივები. ჩვენი რესპუბლიკის გუნდი აჭარის საოლქო საბჭოს მშვილდოსნებით იყო დაკომპლექტებული.

ვაჟთა შეჯიბრებაში თავიდანვე წარმატებით აიღო სტარტი სსრ კავშირის ნაკრების წევრმა, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა, ჩიტის ოლქის საავადმყოფოს ექიმმა მ. ლაბაევმა. მან წარმატებით იასპარეზა როგორც 90, ისე 70 და 50 მეტრზე სროლაში და დამაჯერებლად მოიპოვა ჩემპიონობა — 2317 ქულა.

უფრო დაძაბული იყო ქალთა შეჯიბრება. სამი დღის მანძილზე ლიდერობდა ბათუმელი სპორტის ოსტატი თ. დოლიძე. უკანასკნელი დისტანციის წინ იგი 33 ქულით უსწრებდა რსფსრ-ს წარმომადგენელს, საერთაშორისო კლასის ოსტატს უ. ბადმატაჟანოვას. უკანასკნელ, 30-მეტრიან დისტანციაზე დოლიძემ წარუმატებლად იასპარეზა, XIII ადგილი დაიკავა და საბოლოოდ 4 ქულით ჩამორჩა გამარჯვებულ ბადმატაჟანოვას — 2036 ქულა.

გუნდურ ჩათვლაში საქართველოს ქალთა ნაკრები (თ. დოლიძე, ნ. კულიჩინა, ლ. მარტინოვა) III საპრიზო ადგილზე გავიდა, ხოლო ვაჟთა გუნდი IV ადგილს დასჯერდა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს რსფსრ-ს მშვილდოსნებმა. II ადგილზე გავიდნენ ესტონელები, ხოლო III — ლიტველები. საქართველოს ნაკრები IV ადგილზეა.

ო. მურვანიძე.

ტალინში ჩატარდა სსრ კავშირის ჩემპიონატი მოტორბოლაში. გუნდური გამარჯვება მოიპოვეს ესტონელმა სპორტსმენებმა. II ადგილზე არიან მოსკოველები, III — რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლები. 175 კბ სმ მოტოციკლების კლასში საუკეთესო იყო ესტონელი სპორტსმენი ქალი ლ. ტული.

ს უ რ ა თ ზ ე: ლ. ტული რბოლის დისტანციაზე.

## ახალი რეკორდსმენი 13 წლისაა

„ნილოსის დედოფალმა ლამანშიც დაიპყრო!" „13 წლის გოგონას ფანტასტიკური ნაბიჯი" — ასეთი სათაურებით გამოვიდა გასულ ორშაბათს ლონდონის თითქმის ყველა გაზეთი. ჟურნალისტები აღფრთოვანებას ვერ ფარავდნენ 13 წლის ეგვიპტელი გოგონას აბლა ქაირის გმირული გაცურვის გამო. 33 კილომეტრი, რომელიც ინგლისს საფრანგეთისგან ყოფს, მან 12 საათ-ნახევარში გაცურა.

ახლა ქაირი ლამანშის ყველაზე მცირეწლოვანი დამპყრობია. მაგრამ ყველაზე საინტერესო ისაა, რომ მან 3 საათით გააუმჯობესა 14 წლის ამერიკელი გოგონას ლ. მოდელის რეკორდი.

ახალი რეკორდსმენის მწვრთნელმა სალახ ელ-შაქედმა ჟურნალისტებს განუცხადა: „აბლამ ცურვა ექვსი წლის წინათ ისწავლა, იგი გამბედავი და ჯიუტი გოგონაა, კვირას ცუდი ამინდი იდგა ლამანშზე, მაგრამ ჩემი დიდი პროტესტის მიუხედავად, აბლამ მაინც განახორციელა თავისი ჩანაფიქრი".

თვით რეკორდსმენმა კი თქვა: „ამ გაცურვის დროს თავს მშვენივრად ვგრძნობდი. დიდი ტალღების სრულებითაც არ მეშინოდა, უახლოეს ხანში მინდა ერთხელ კიდევ ვცადო ბედი".

### ფეხბურთის მოყვარულთა საყურადღებოდ!

დღეს მოსკოვში შედგება საკავშირო ჩემპიონატის მატჩი ადგილობრივ „ტორპედოსა" და თბილისის „დინამოს" შორის.

ამ მატჩის რეპორტაჟს მოვისმენთ რადიოთი 22 საათსა და 5 წუთიდან თბილისის დროით.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

### თბილისი სპორტულ ცენტრში

ფეხბურთი. საქართველოს თასის ფინალი. 21 აგვისტო. „ლოკომოტივის" სტადიონი. ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „მეტალურგი" (რუსთავი). დასაწყისი 19 ს.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: 380096 თბილისი, ლენინის ქ. 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50, რედაქტორის მოადგილე — 93-97-57, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ-ფიზკულტურული და მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-56-47, 93-97-53, ფეხბურთის განყოფილება — 99-81-71, 93-97-56, ჭადრაკის განყოფილება — 93-97-51, წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია — 93-97-58, გამომშვები — 93-93-81, კორექტორები — 93-97-49.